ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თ თქვენ. მათ. 11—28.

№ 3 1883—1904 15 თებერვალი

შ ი ნ ა ა რ ს ი:

სალიტერატურო განყოფილება: ეხლა კი დროა ყურადღება მივაქციოთ და ჯეროვანი საშუალება ვიხმაროთ. მღვდელი ნიკოლოზ ისაიას ძე ციბაძე. (ნეკროლოგი)—ჟურნალ-გაზეთებიდან—ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე: ცხოვრება წმიდათაშორის მამისა ჩვენისა ნიკოლოზ საკვირველთ მოქმედისა, მღ. ბ. კაპანაძისა.—საუბარი დაბადებიდან ს. გორგაძისა.

ეხლა კი დროა ყურადღება მივაქციოთ და ჯეროვანი საშუალება ვიხმაროთ.

დასასრული *).

რა საშუალებანი, რა ღონის ძიებანი უნდა ვიხმაროთ ჩვენ, მწყემსთა ხალხში სარწმუნოებრივი გულ-გრილობის გავრცელებისა და ზნეობის დასუსტების წინააღმდეგ? რა საშუალებით შეგვიძლია ჩვენ მწყემსთა ჭეშმარიტი სარწმუნოების და ქრისტიანული კეთილ-ზნეობის განმტკიცება სამწყსოთა შორის?

აი კითხვები, რომელნიც არა ერთხელ თქმულა ჩვენ სამღვდელოთა საყურადღებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი სამღვდელოება ისმენს მოწიწებით ამ კითხვებს და საქმით ჯერ-ჯერობით არა გამოუჩენია-რა. წინეთ დროში, უნდა სთქვას მართალი კაცმა, ჩვენ სამღვდელოებას მაინცა და მაინც ბევრს ვერ მოსთხოვდა კაცი, მაგრამ დღეს, როცა ამდენი სემინარიელები შეემატა ჩვენს სამღვდელოებას, სწორეთ დროა მოითხოვონ მათგან ბეჯითად თავიანთ მოვალეობის აღსრულება. მღვდლის მიუცილებელი მოვალეობაა აღასრულოს: 1) საზოგადო ღვთის-მსახურება—წირვა-ლოცვა, 2) შეუსრულოს სამრევლოს საიდუმლო და სხვა მღვდელ-მოქმედებანი და 3) ასწავებდეს სამწყსოთა

*) იხ. „მწყემსი" № 1—2, 1904 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოვისთა. წმიდა მოციქული პავლე სამღვდელო პირთა ავალებს: „ჰქადაგე სიტყვა, ზედა-ადეგ ჟამითი და უჟამოდ, ამხილე, შერისხენ და ნუგეშინის-ეც ყოვლითა სულგრძელებითა და მოძღვრებითა“. ეს უკანასკნელი მოვალეობა ჩვენი სამღვდელოებისა მეტის მეტად სუსტად სრულდება. როგორც მკითხველი დაინახავს, მღვდლის ერთი უმთავრესი მოვალეობაა სწავლება, ქადაგება და სამწყსოთა დამოძღვრა. ეს სწავლება, ქადაგება და დამოძღვრა სწორეთ ეხლა მოითხოვება ჩვენ მწყემსთაგან. ჩვენ მწყემსთა თავის გასამართლებლად ზოგიერთები მოიყვანენ სხვა-და-სხვა მიზეზთა, მაგრამ ყველა დასახელებული მიზეზები უსაფუძვლონი არიან. არ შეუძლია მღვდელმა თავი გაიმართლოს ღარიბობით, დროის უმექონლობით, საბაასო და საქადაგო მასალის უმექონლობით. სემინარიელ მღვდელს, რასაკვირველია, არ შეუძლია თავის გამართლება, მაგრამ არც ოთხი კლასის კურს დამთავრ ბულთა და არა თუ ამათ, არამედ მონასტრებში ღ შინაურულად აღზრდილ პირთაც არ შეუძლიათ თავის გამართლება. დღეს საბაასო, საკითხავი და საქადაგებელი წიგნები საკმაოდ იმექონებიან დაბეჭდილნი და კიდევ მრავალი იბეჭდება ქართულს ენაზე. რომ ჩვენი სამღვდელოება ცოტას მაინც მაცადინობდეს თავის განვითარებაზედ, რასაკვირველია, ყველა ეს გამოცემანი ეცოდინებოდა თვითონაც ისარგებლებდა და მრევლსაც წაუკითხავდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი სამღვდელოება მეტის მეტად გულგრილად ეპყრობა თავის გონებით განვითარების საქმეს. დიდი იმედი გვქონდა სემინარიელი მღვდლებისაგან, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრისაგან მოტყუებული დარჩა როგორც თვით სამღვდელოება, ისე საზოგადოება. განა ცოტანი არიან რუსულ ენაზე დაბეჭდილნი სასაუბრო წიგნები? განა ამ წიგნებით მათ არ შეუძლიათ ისარგებლონ? მაგრამ ხელს უშლის მათ ამ საქმეში გაზვიადებული თავისმოყვარება. ზოგიერთ სემინარიელს ჰგონია, რომ იგი სავსებით მომზადებულია ცხოვრებისათვის და მისთვის კიდევ წიგნებისა და ჟურნალების კითხვა საჭირო აღარ არის. სემინარიელისაგან დაბეჭდილისა და დაწერილის წაკითხვა თითქმის საჩოთიროდ მიაჩნია, რადგან, წარმოდგენილი აქვს, რომ ძველი მისი მოამხანაგე მისთვის საინტერესო წასაკითხავს ვერას დასწერს.

სამწუხაროდ არ მოხდა არც ერთ ეპარქიის სამღვდელოების კრებაზე ყველა მღვდლების შეთანხმება ერთსა და იმავე დროს საუბრების გამართვის შესახებ მრევლთან. მათმა მეუფებამ, რომელიც დიდად მოწადინებულია, რომ სამღვდელოებამ გაუმართოს თავიანთ მრევლს საუბრები—სარწმუნოებრივი და ზნეობრივი შინაარსისა, თვითოეული მაზრის სამღვდელოების წარმომადგენელნი შეკრიბა და ჰქონდა მათთან მსჯელობა ამ საგნის შესახებ. პირველი კრება, როგორც უკვე უწყიან ჩვენმა მკითხველებმა, შორაპნის მაზრის სამღვდელოების წარმომადგენელთა მოხდა დაბა ყვირილაში. მეორე ამისთანავე კრება რაჭის მაზრის სამღვდელოების წარმომადგენელთა მოხდა ჭელიშის მონასტერში. ორივე მაზრის სამღვდელოებამ მიიღო წინადადება სამღვდელოებისათვის სამაზრო სამკითხველოების დაარსების შესახებ. პირველ შემთხვევაში ამ სამკითხველოების დაარსებისათვის საკმაო თანხაც გამოიღეს. ორივე მაზრის სამღვდელოებამ დანიშნა კომიტეტი თითო საბლაღოჩინო მაზრიდან თითო სამღვდელო პირი. სამღვდელოებამ მათ დაავალა ზრუნვა სამკითხველოების დაარსებისა და მისი საქმის წარმოების შესახებ. ეს კამიტეტი არის აგრეთვე ვალდებული დაამზადოს სამღვდელოებისათვის საუბრები და საკითხავები მრევლთან გასამართავად. ამ უკანასკნელი კითხვის შესახებ, შორაპნის მაზრის სამღვდელოების კამიტეტმა სასარგებლოდ დაინახა საუბარი გაუმართოს მრევლს ქვეყნისა დ კაცის გაჩენაზე დ სხ. მოთხრობებზე დაბადებიდან. ამისთანა საუბრები ჟურნალ „პასტირ»-ში იყვნენ დაბეჭდილნი 1887—1893 წწ. კამიტეტის სახელით ჩვენ ვსთხოვეთ ბ-ს სერგი რ. გორგაძეს თარგმნა ამ საუბრებისა რუსულიდან ქართულად. ბ-მა სერგი გორგაძემ სიამოვნებით აღგვითქვა შრომა ამ საკეთილო საქმეში. კამიტეტმა გადასწყვიტა: დაიბეჭდოს ეს საუბრები ჟურნალს „მწყემს-ში და ცალკე წიგნაკებათაც ხალხში გასავრცელებლად. ეს საუბრები უკვე იბეჭდება ხსენებულს ჟურნაში და ცალკე წიგნაკათაც გამოა და დაურიგდება სამღვდელოებას საუბრების გასამართავად და ხალხში გასავრცელებლად. ამ საუბრების შესახებ ჩვენ არას ვიტყვით, ვინაიდგან ყოველი მკითხველი თვითონ მიხვდება თუ რამდენად სასარგებლო და საინტერესო საკითხავი იქნება იგი ჩვენი ხალხისათვის. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს მოსაზრება კომიტეტისა მოწონებული იქნება ჩვენი სამღვდელოებისაგან და თავის თანაგრძნობას და დახმარებას აღმოუჩენს მას. შემდეგ ნომერში გამოცხადებული იქნება ყველა საუბრები რომელთა დაბეჭდვა განიზრახა კომიტეტმა ამ პირველ წელიწადს.

დეკ. დ. ღამბაშიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღვდელი ნიკოლოზ ისაიას ძე ციბაძე.

† ნეკროლოგი

ს. ფარცხანაყანევში (ქვეომო იმერეთი). ამ რამდენიმე ხნის წინეთ, ორი კვირის ავად-მყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა და გამოეთხოვა თავისს სანატრელ ქალ-ვაჟს, თავის საყვარელ მრევლს, ნაცნობთა და ნათესავთა მღვდელი მ. ნიკოლოზ ისაიას ძე ციბაძე. ამ ხსენებული მოძღვრის ცგოვრებაში

ბევრი ისეთი ორიგინალური და საყურადღებოა, რომ ამ ჩვენ ზნეობრივად დაქვეითების დროს ღირსია გაუზიარონთ ჩვენ მკითხველებს ორიოდე სიტყვით. —მღვდელი ნიკოლოზ ციბაძე ამ ჟამად იყო სამოცდა-რვა წლისა. ის დაიბადა 1835 წ. ს. ფარცხანაყანევში; იყო უბრალო-უსწავლელი გლეხის შვილი; ოც-და-ორ წლამდის თავის მამის ოჯახში სცხოვრობდა და ეხმარებოდა მამას ყოველგვარ მუშაობის აღსრულებაში. 22 წლისა, როგორც მისი ნამეგობრებ-ნაამხანაგებიც მოწმობენ, ხსენებული პირი უბრალო მწყემსად იყო მინდორში და მწყევსავდა სხვასთან ერთად ცხვრებს, თხებს და სხვა შინაურ ცხოველებს. ამ მწყემსობის დროს, როგორც განსვენებული მოწმობდა, მას დაებადა აზრი, რომ ის გამხდარიყო როგორმე მწყემსად გონიერთა ცხოვართა. მართლაც, წინააღმდეგ თავის მშობლებისა, რომელთაც სურდათ მისი შინ დარჩენა და უბრალო მუშად ყოფნა, ოც-და-ორი წლის კაცმა მიატოვა მშობლების ოჯახი და წავიდა სასწავლებლად მეზობელ მღვდელთან, რომელსაც „ან-ბანის“ სწავლებისათვის უსრულებდა ყოველგვარ სამუშაოს. მაგრამ, როდესაც მშობლებმა მეზობელ მღვდელთან სწავლაც აღუკრძალეს და ისევ ოჯახში დაბრუნება მოსთხოვეს, აღნიშნულმა პირმა მიატოვა, როგორც მშობლების ოჯახი, ისე მეზობელი მოძღვარი და მთლად სამშობლო სოფელიც და წავიდა გელათის მონასტერში, სადაც, დიდი შრომისა და მეცადინობის შემდეგ, შეისწავლა სამშობლო ენაზე წერა-კითხვა. გავიდა რამოდენიმე დრო და შეისწავლა იმავე მონასტერში ქართული საეკლესიო ენის, ე. ი. ხუცური „ან-ბანი“ და თან რამოდენიმედ კითხვაც. მაგრამ ბედმა კიდევ უმტყუნა: მშობლებმა აქ ყოფნაც შეუუყვეს და მოსთხოვეს შინ დაბრუნება. მომავალი მსახური ეკლესიისა ნამეტან უარს ამბობდა სახლში დაბრუნებაზე ჯ ემუდარებოდა, გულით სთხოვდა მშობლებს ისევ გელათის მონასტერში დაეტოვებინათ, მაგრამ, რადგანაც უარი აღარ გაუვიდა და ძალაც შეაწუხეს, გადასწყვიტა მეტოვებინა თავისი საყვარელი მონასტერი გელათიც ჯ სულ მოშორებოდა იმერეთის ეპარქიას. მართლაც მიატოვა გელათის მონასტერი და, მიუხედავად იმ დროის გაჭირვებულ და საშიშ მოგზაურობისა რკინის გზის უქონლობისაგამო, წავიდა ქართლ-კახეთის ეპარქიაში, სადაც სხვა-და-სხვა სამღვდელო პირთაგან ჯეროვანი და ერთგული სამსახურის ათვის ზედ-მიწევნით შეისწავლა საღმრთო წერილის კითხვაც და საეკლესიო ტიბიკონიც სამშობლო ენაზე.

ასეთი მომზადების შემდეგ ეგზარხოსის განკარგულებით გამოსცადეს მთხოვნელი ნ. ც—ძე სხვა მრავალ მთხოვნელებთან ერთად და თავისუფალი მედავითნის ადგილი მისცა ოსეთის მხრისაკენ ს. ს. ანანაურსა და ფასანაურში. მან არამც-თუ თავის თანამდებობის აღსრულებას მოჰკიდა ხელი მტკიცედ და ბეჯითად, არამედ ერთგულათვე შეუდგა პატარა ბავშვების სწავლებასაც, რომელთაც სამშობლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენაზე ასწავლიდა: წერა-კითხვას, ლოცვებს და საღმრთო ისტორიას. ასეთის ერთგულის შრომით მან დაიმსახურა ყურადღება, როგორც სასულიერო მთავრობისა, ისე სხვა პატიოსან პირთა. სულ ცოტა ხანში ისეთი ყურადღება დაიმსახურა, რომ ის აკურთხა ხსენებულმა ეგზარხოსმა—ევსევიმ მთავარ-დიაკვნად ჯერ თავისსავე ადგილზე და შემდეგ კი აღუთქვა სხვა უკეთეს ადგილზე გადაყვანა და მღვდლადაც კურთხევა, მაგრამ ოჯახურ გარემოებათა გამო, ძალა უნებურად გარდახვეწილი იმერელი, ისევ იმერეთს დაუბრუნდა. რამოდენიმე ხნის შემდეგ იმერეთში გადმოსვლისა მან მიმართა თხოვნით მაშინ მყოფ იმერეთის ეპარქიის მღვდელ-მთავარს—გაბრიელს, რომ ის მიეღო თავის ეპარქიაში და თან შესაფერი ადგილიც მიეცა მისთვის. ყ-დ სამღვდელო გაბრიელმა შეიწყნარა მთავარ-დიაკონ მ. ნ. ც—ძის თხოვნა და მისცა მას შტატის მთავარ-დიაკვნის ადგილი ს. გეგუთის წმიდის გიორგის ეკკლესიაზე, საიდგანაც შემდეგ გარდაყვანილ იქმნა იმავე ეპისკოპოსისაგან მღვდლად ს. ბაშის ამაღლების ეკკლესიაზე. მ. ნ. ც—ძე მსახურებდა თითქმის 25—26 წელიწადი.

მ. ნ. ც—ძე იყო სამაგალითო მლოცველი და თან სამაგალითო მშრომელი მოძღვარი; თან ის იყო ყოველ გაჭირვებულზე გულ-შემატკივარი და შეძლებისა და-გვარად შემწევნობის აღმომჩენი. აღნიშნული მოძღვარი, თუმცა მას კლასში სწავლა არ მიუღია, მაგრამ თითქმის ყოველ ნაწირვებს, დღისა და სახარების შესაფერისს მოკლე და ადვილად გასაგები სიტყვებით მიმართავდა ხალხს და აძლევდა მათ საყურადღებო დ საგრძნობელ დარიგებას, რომლის დროსაც ბევრი მსმენელის თვალებზე სასოების ცრემლებსაც შეამჩნევდა მაყურებელი. შემდეგ ეკკლესიურ და მრევლის სამსახურისა მ. ნიკოლოზი შეუდგებოდა ფიზიკურ მუშაობას; მუშაობდა მრევლშივე მყოფ თავის მამულში: ყანას, ვენახს, ბაღს, ეზ[illegible] და თითქმის ყოველ-გვარ სამუშაოს და მით აძლევდა ცხოველ მაგალითს შრომის სიყვარულისას; სცდილობდა შინაურ ფრინველების მოვლა-მოშენების და საზოგადოთ შინაურ ცხოველების საქმეც სამაგალითოდ მოეწყო და სხვა... ის სრულის რწმუნებით ეუბნებოდა ყოველ პირს, რომ უშრომლად ცხოვრება სირცხვილი და თან ცოდვაც არისო; ღმერთმა გვიბრძანა პატიოსნად ვიშრომოთ და მას კი ვევედროთო და სხვა... მ. ნიკოლოზს სულით და გულით უყვარდა პატარა ბავშვების სწავლებაც; შეჰკრიბავდა თავის სამრევლოს ბავშვებს ეკკლესიისავე გალავანში მყოფ თავისს სენაკში და უსასყიდლოთ ასწავლიდა მათ სამშობლო ენაზე წერა-კითხვას, ლოცვებს, შემოკლებით ისტორია კატეხიზმოს და საზოგადოთ წესიერ ქრისტიანულ ცხოვრებას.

ყოველ დილა-საღამოს, სადილ-ვახშმობის დაწყებამდის და შემდეგ მ. ნიკოლოზი ხანგრძლივად და სასოებით ლოცვილობდა; თითქმის ყოველ ალიონზე ის ასრულებდა სრულ ცისკრის ლოცვებს. მისს საყვარელ ლოცვებს შეადგენდა საღმრთო-წერილიდგან (მისგანვე) ამორჩეულ-ამოკრებილი საგრძნობელი სიტყვები; ის ხშირად იმეორებდა თავის ლოცვა-ვედრებაში: „შეგიყვარო შენ „უფალო» ღმერთო ჩემო, „უფალო“ დამამტკიცებელო ჩემო და „უფალო“ შესავედრებელო ჩემო“-ო. ხსენებული მოძღვარი მ. ნ. ც—ძე არასოდეს სხვის უთავბოლო სიტყვებს არ აჰყვებოდა; ის მტკიცედ იდგა ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე და ამ ბოლო დროს ხშირად იმეორებდა: „ვინც რა უნდა სთქვას, მე მაინც მტკიცედ დ შეუდრეკელად უნდა ვასრულო მართლმადიდებელ-ქრისტიანული წესები და სასოებით უნდა გავიდე ამ სოფლიდგან. ყოველ კეთილ საქმეს: სკოლის აშენებას, ეკკლესიის აშენება გამშვენებას, გზების შეკეთებას და სხვა ასეთ მგზავსს მ. ნიკოლოზი სულით და გულით თანაუგრძნობდა, ხოლო ცუდ საქმეს და სიტყვებსაც-კი ყურს აავლებდა და არც სურდა მათი გაგონება. პირში მომფერებელს დ ფარისეველ ადამიანს პირშივე ამხილებდა მოურიდებლად თავის ცუდ მიდრეკილებაზე. ჯილდოზე მამა ნიკოლოზს ჰქონდა პირველ საუკუნეთა ქრისტიანების შეხედულება: „ჯილდო“ მისებურად „სვინდისი“, ყოველ ადამიანს ღვთისგან ეძლევა და ვინც მას უმანკოდ შეინახავს და გონივრულად გაუძლვება ის არის ნამდვილი ადამიანი»-ო და სხვა... საზოგადოდ განსვენებული მოძღვარი სცდილობდა სარწმუნოება, შრომა და ცხოვრება ერთმანეთისათვის დაეკავშირებია. სამსახურში და ცხოვრებაში მისი გულწრფელობა იყო მიზეზი, რომ ყოველი მრევლთაგანი, ნაცნობი და მეგობარი დიდათ სწუხდნენ და ცრემლით ევედრებოდნენ ღმერთს მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულის განსვენებაზე. ნეტარ-ხსენებული მოძღვრის განსვენებაზე, რომელიც ქრისტიანულის წესისა და მღვდელ-მთავრის განკარგულეაისამებრ შესრულდა გარდაცვალებიდგან მესამე დღეს, მოწვეული ბრძანდებოდა თავისის კრებულით ყ-დ სამღვდელო, იმერეთის ეპისკოპოსი—ლეონიდი, რომელმაც გარდახადა ოჯახში პანაშვიდი და შემდეგ ეკკლესიაში წირვა და წესისაგება შეასრულა მრავალ სამღვდელო პირთა თანამსახურებით და ურიცხვ, გულით მწუხარე, ხალხთა თანადასწრებით. დიდათ საგრძნობელი იყო სანატრელი ქალ-ვაჟის და გულ-დამწვარ მრევლის უკანასკნელი გამოთხოვება საყვარელ მოძღვართან... საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ღირსო ნეტარებისაო, მამაო ნიკოლოზ!.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

„ცესარევიჩი“, „რეტვიზანი“ და პალლადა“.

27 იაევარს იაპონელებმა ნაღმიანის ნავებით ძლიერი იერიში მიიტანეს რუსეთის ფლოტზე პორტ-არტურთან. ამ იერიშმა დააზიანა რუსეთის ჯავშნიანი გემები «ცესარევიჩი» და „რეტვიზანი“ და 1-ლ რანგის კრეისერი «პალლადა». სამივე ეს გემი შეადგენს რუსეთის ფლოტის საუკეთესო ნაწილს და აშენებულია მეცნიერების უკანასკნელ მოთხოვნათა მიხედვით.

ჯავშნიანი გემი „ცესარევიჩი“ ზღვაში ჩაუშვეს 1901 წელს, ასე რომ მხოლოდ სამი წლისაა; გაკეთებულია ტულონის (საფრანგეთში) ცნობილ ქარხანაში. იწონის 12,900 ტონას (ტონა 62 ფუთია); სიგრძე აქვს 388 ფუტი ($55^1/_2$ საჟენი), სიგანე—79 ფუტი (11 საჟენამდე). ეს ვებერთელა გემი შეიარაღებულია 52 ზარბაზნით. მისი უფროსია 1-ლ რანგის კაპიტანი გრიგოროვიჩი, უფროსი აფიცერია—ლეიტენანტი შუმოვი. ღირს ეს ჯავშნიანი გემი თორმეტ მილიონ ხუთასი ათას მანეთად!

ჯავშნიანი გემი „რეტვიზანი“-ი ერთის წლით უფროსია „ცესარევიჩ“-ზე. გაკეთებულია 1900 წ. კრამპის ქარხანაში ფილადელფიას (ამერიკაში). იწონის 12,902 ტონას; სიგრძე აქვს 380 ფუტი ($54^1/_2$ საჟენი), სიგანე—72 ფუტი (10 საჟენი), ეს უშველებელი გემი შეიარაღებულია 74 ზარბაზნით. ამას უფროსობს 1-ლ რანგის კაპიტანი შჩესნოვიჩი, უფროსი აფიცერია—ლეიტენანტი სტრონსკი. ეს ჯავშნიანი გემი ღირს ათ მილიონ შვიდას ათას მანათად!

პირველ რანგის კრეისერი „პალლადა“ გაკეთებულია პეტერბურგს, 1901 წელს, ფრანგთა და რუსთა საქარხნო საზოგადოების მიერ. სიგრძე აქვს 415 ფუტი ($59^1/_2$ საჟენი), სიგანე—55 ფუტი (8 საჟ.); იწონის 6,731 ტონას. შეიარაღებულ 42 ზარბაზნით; მის ეკიპაჟს შეადგენს 18 აფიცერი და 545 ჯარის-კაცი; უფროსია 1-ლ რანგის კაპიტანი კოსსოვიჩი. ღირს „პალლადა“ ხუთ მილიონ შვიდას ათას მანათად!

ამ მოკლე აღწერილანაც დარწმუნდება მკითხველი, რომ იაპონელების მიერ სამივე დაზიანებული გემი საუკეთესო მშვენებას შეადგენს რუსეთის ფლოტისას. სამივე გემის ფასი თითქმის 28 მილიონი მანათია.

* * *

ინგლისელი მეზღვაური ჯონ ნორმანი ლიბერალურ ზაზ. „დაილი ნიუს“-ში იაპონიის სამხედრო პლანს არჩევს და, სხვათა შორის, შემდეგსა სწერს: ეჭვი არაა, იაპონელები იმ აზრით დაეცნენ პორტ-არტურს, რომ რუსის ფლოტს იაპონიის ჯარისთვის კორეიაში გადასვლა ველარ დაეშალა. ეჭვი არაა, აგრეთვე, რომ სწორედ იმ დროს, როცა ადმირალი ტოგო პორტ-არტურს დაეცა, იაპონიის ჯარი ფუზანსა, იოკპოსა, კუნზანსა, ჩემულპოსა და კაზანში გადადიოდა. ყველა ამ ადგილებს მეტად დიდი სტრადეგიული მნიშვნელობა აქვთ. თუ იაპონელები ამ ადგილებს ხელში ჩაიგდებენ, თითქმის მთელი კორეია იმათი გახდება. იაპონელები-კი თავდაპირველად სწორედ კორეის დაჭერას ეცდებიან. კუზანს ახლო დიდი ყურეა; სეულ-ფუზანის რკინის გზაც იქვეა. კაზანიც მშვენიერი ადგილია ჯარის გადასაყვანად. თუ იაპონელები ამ ადგილს დაიჭერენ, მერე სეულ-იაჩჟოუს გზასაც ხელში ჩაიგდებენ. მაგრამ ყველა ჩამოთვლილ ადგილს ტაკუშენი სჯობია. ტაკუშენი უფრო ჩრთილოეთით მდებარეობს და თუ იაპონიის ჯარი ტაკუშენში გადასვლას მოახერხებს, მაშინ იაპონელები მდინარე იალუსა და მანჯურიის რკინის გზის შუა ჩადგებიან და რუსის ჯარს გზას შეუკრავენ. ნორმანი დარწმუნებულია, რომ იაპონელები, თუ ჯერ არ გადასულან,

ამ მოკლე ხანში მაინც უსათუოდ გადავლენ ტაკუშენშიო. ინგლისელი მეზღვაური ასე განაგრძობს: «თკვენ ჰნახავთ, რომ ჩემი ნათქვამი მალე გამართლდება, ადრევე ვსთქვი. რომ იაპონიის ახალგაზდა მეზღვაურები დიდ მოხერხებასა და გამბედაობას გამოიჩენენ, მეტადრე ნაღმიან გემებს მოიხმარებენ კარგად-მეთქი. როგორც ეს სიტყვა გამართლდა, ისე ეხლანდელი ნათქვამი გამართლდება». ამის შემდეგ ნორმანი სწერს, კორეის დაპყრობა, სეულის დაპერა და მეტადრე კორეის იმპერატორის ხელში ჩაგდება, პირველში მაინც, დიდს უპირატესობას მისცემს იაპონელებს. კორეიელები ვერაფერი ჯარის კაცები არიან, მაგრამ ტვირთისა და ბარგის ზიდვა კარგათ შეუძლიანთ, ამიტომ, ეჭვი არაა, იაპონელები კორეელების ჯარს და ლონეს კარგად მოიხმარენ. („ნოვ. ვრემია).

„ნოვოე ვრემია“ შეჰნიშნავს: ნორმანის ნათქვამი, მეტადრე ტაკუშენის თაობაზე, ყურადღების ღირსიაო.

რუსეთი და ინგლისი. გერმანულ გაზ. „ბერლინერ ტაგებლატ“-ს დეპეშით ატყობინებენ ლონდონიდან: აქ ბეჯითად ლაპარაკობენ, ინგლისი დაიმუქრა, თუ რუსეთი შავი ზღვიდან თავის ესკადრის გამოყვანას მოინდომებს, ინგლისის ესკადრა დარდანელის გამოსავალში კუნძულებს ლემნოსსა და სხვ. დაიპერს ნეიტრალიტეტის დასაცველადაო.

გერმანიის ნეიტრალიტეტი. გერმანიამ ოფიციალურად გამოაცხადა, რუსეთ-იაპონიის ომის დროს მტკიცე ნეიტრალიტეტს ვავიცავო, მარამ ინგლისურ გაზ. «დეილი მეილ“-ს მაინც არა სწამს გერმანიის ნეიტრალიტეტი. ამ გაზეთის ჩიფუდან ამნაირი დეპეშა მოსვლია: „3 თებერვალი. 4 რუსის ჯავშნიანი გემი და 3 კრეისერი პორტ-არტურიდან გავიდნენ იაპონიის ფლოტის მოსაძებნად. ერთის ინგლისელ გემის კაპიტანს თავის თვალით დაენახა, რომ ერთს გერმანელ გემს ვეი-ჰაი-ვეის ნავთსადგურს ახლო იაპონიის გემების წინ სამხედრო ნიშანი მიეცა რუსის გემებისათვის. ამიტომ იაპონიის კრეისერებმა გერმანიის გემს უბძანეს, ვეი-ჰაი-ვეის ნავთსადგურს-მოჰშორდიო“.

ლიხუნჩანგის ანდერძი. თუმცა განთქმულ ჩინელ სახელმწიფო კაცის ანდერძი 1901 წლის, ლიხუნჩანგის გარდაცვალების შემდეგვე, იყო დაბეჭდილი გაზეთებში, მაინც ურიგო არ იქნება ჩინელ დიპლომატის ანდერძი კიდევ ერთხელ გავიხსენოთ. გარდაცვალების წინა დღეებში ლიხუნჩანგს მიეწერა პრინც იუნლუსათვის: „ჩინელი სახელმწიფო კაცები ხშირად ამბობენ, რუსეთს მანჯურიას ნუ დაუბრუნებთო. ამისი თქმა მხოლოდ იმას შეუძლიან, ვისაც აწმყოსი და მომავლისა არა გაეგება-რა. თუ მანჯურიას რუსეთს დაუთმობთ ეხლა, ამით არაფერი ზარალი არ მოგვეცემა. მაშინ იაპონელები, უეჭველია, თითონაც კორეიას დაისაკუთრებენ. მერე რუსეთი და იაპონია უსათუოდ კორეიასა და მანჯურიის საზღვარზე შეჰხვდებიან და ერთმანეთს დაეტაკებიან. თუ ომის დროს იაპონია დამარცხდა, ჩვენ, ჩინელები, რაც-კი შეგვიძლიან, რუსეთს მოვეხმარებით და იაპონიის განადგურებას უშველით. მაშინ რუსები კორეიას თითონ დაიპერენ, მანჯურიას-კი მადლობის ნიშნად ჩვენ დაგვიბრუნებენ. თუ ვინიცობაა რუსეთი დამარცხდა, მაშინ ავდგებით, იაპონიას დავეხმარებით და რუსეთის ჯარს მანჯურიიდან განვდევნით. ეხლა-კი მანჯურიის დაბრუნება მეტად ძნელი საქმეა. მართალია ინგლისი დიდ ყურადღებას აქცევს მანჯურიას, მაგრამ იმის გულისათვის ომს არ დაიწყებს. გერმანია ნეიტრალიტეტს იცავს, საფრანგეთი ყველაფერს შორიდან უცქერის, ამერიკაც გაჩუმებულია. ასე რომ ეს სახელმწიფოები არას გვიშველიან. სამხრეთ-ჩინეთის მეფის მოადგილეები სხვა თვალით უცქერიან ამ საქმეს, მაგრამ იმათ არაფერი არა გაეგებათ-რა. გთხოვთ, ეცადნეთ, ქვრივ დედოფალს სამხრეთის მეფის მოადგილეების აზრი არ გააგებინოთ. დიდ-ხანს ვეღარ ვიცოცხლებ. გთხოვთ, ჩემის სიკვდილის შემდეგაც ჩემს ანდერძს მისდიოთ. რჩევისა და დახმარებისათვის შეგიძლიანთ ჩემ შემდეგ იუანშიკაის მიჰმართოთ“.

გარეშე საქმეთა მინისტრმა ცირკულიარით აცნობა რუსეთის წარმომადგენლებს საზღვარ-გარედ, 9 თებერვალს 1804 წ. „იმის შემდეგ, რაც რუსეთსა და იაპონიას შორის განხეთქილება ჩამოვარდა, იაპონიის მოქმედება წარმოადგენს სრულს უარყოფას ჩვეულებრივ დადგენილებათა, რომლით განისაზღვრება ურთიერთობა განათლებულ სახელმწიფოთა შორის. რუსეთის საიმპერატორო მთავრობა ამ ჟამად უყურადღებოდ სტოვებს იაპონიის მიერ სხვა-და-სხვა წესის დარღვევას, მაგრამ ვალდებულად სთვლის თავის თავს სახელმწიფოთა ყურადღება მიაქციოს იმ ძალ-მომრეობას, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაპონიამ ჩაიდინა კორეის მიმართ. კორეის დამოუკიდებლობა და ხელუხლებლობა, როგორ სრულიად თავისუფალ სახელმწიფოსი, ყველა სახელმწიფოსაგან აღიარებული იყო. ამ პრინციპების დაურღვევლობა აღიარებულ იქმნა სიმონოსეკის ხელშეკრულობის პირველის მუხლით, ინგლისისა, და თვით იაპონიის შეთანხმებით 17 (30) იანვარს 1902 წელს და საფრანგეთ-რუსეთის დეკლარაციით იმავე წლის 3 (16) მარტს. კორეის იმპერატორმა, იმის მოლოდინით, რომ რუსეთსა და იაპონიას შორის შეტაკება მოუხდებოდათ, იანვრის დასაწყისშივე აცნობა ყველა სახელმწიფოს თავისი გადაწყვეტილება ნეიტრალიტეტის დაცვის შესახებ. ეს განცხადება ყველამ და მათ შორის რუსეთმაც თანაგრძნობით მიიღო, ხოლო სახელმწიფოთა უმეტესმა ნაწილმაც შეიწყნარა. დიდ ბრიტანიის მთავრობამ როგორც თავის დროზე რუსეთის ელჩმა გვაცნობა, მიანდო თავის წარმომადგენელს სეულში ოფიციალურად მადლობა გადაეხადა კორეის იმპერატორისათვის ნეიტრალიტეტის დაცვის გამო. ყველა ამ გარემოების მიუხედავად და წინააღმდეგ ყველა ხელშეკრულობისა და საერთაშორისო უფლების კანონებისა, იაპონიის მთავრობამ: 1) ომის დაწყებამდე დაიწყო ჯარების გადაყვანა კორეის დამოუკიდებელ სახელმწიფოს საზღვრებში, თუმცა ამ სახელმწიფომ ნეიტრალიტეტის დაცვა მოითხოვა; 2) 26 იანვარს, ე. ი. ომის გამოცხადებამდე სამის დღით წინ, თავს დაესხა ნეიტრალურ სახელმწიფოს ნავთ-სადგურ ჩემულპოში მდგომ ორ რუსის სამხედრო გემს, რომელთა უფროსებმა არაფერი არ იცოდნენ იაპონიის გადაწყვეტილებისა რუსეთთან კავშირის შეწყვეტის შესახებ. არ იცოდნენ იმიტომ, რომ იაპონიამ მოსპო რუსეთის დეპეშათა გზავნა დანიის საზოგადოების ტელეგრაფით და გააფუჭა კორეის ტელეგრაფიც. დაწვრილებითი ამბავი შემაძრწუნებელ თავდასხმის შესახებ ჩემულპოში უკვე ოფიციალურად გამოცხადდა რუსეთის ელჩის დეპეშით; 3) არსებულ საერთაშორისო დადგენილებათა წინააღმდეგ ომის დაწყებამდე დაატუსაღა რუსეთის სავაჭრო გემები, რომელიც კორეის სანეიტრალო ნავთსადგურებში იდგნენ; 4) გამოუცხადა კორეის იმპერატორს, რომ ამიერიდან კორეია იაპონიის მართვა-გამგეობას დაექვემდებარება და ამასთან დაემუქრა, თუ არ დაგვემორჩილები, სასახლეს ჯარით დავიჭერთო; 5) საფრანგეთის ელჩის შემწეობით მიჰმართა რუსეთის წარმომადგენელს კორეიაში წინადადებით—დაუყოვნებლივ მთელის საელჩოთი წასულიყო კორეიიდან. რუსეთის საიმპერატორო მთავრობა ყველა ამ ფაქტს საერთაშორისო უფლების კანონთა დარღვევად სთვლის და თავის მოვალეობად რაცხს ყველა სახელმწიფოს წინაშე პროტესტი გამოაცხადოს იაპონიის უკანონო მოქმედებათა წინააღმდეგ; ამასთანავე რუსეთის მთავრობა დარწმუნებულია, რომ ყველა სახელმწიფო ამგვარისავე აზრის იქნება. რუსეთის მთავრობა საჭიროდ სთვლის აგრეთვე წინდაწინვე გამოაცხადოს, რომ უკანონოდ სთვლის ყველა იმ განკარგულებათა და განცხადებათ, რომელნიც ამიერიდან კორეიის მთავრობის სახელით გამოიცემა. კეთილ ინებეთ და ეს ჩვენი განცხადება აცნობეთ ყველა იმ მთავრობათ, რომელთანაც თქვენ რუსეთის წარმომადგენლად იმყოფებით".

ინგლისური გაზეთ „მორნინგ პოსტ"-ი სწერს: „ომის დაწყების წინ იაპონიის ძალასა და გამბედაობას არაფრად აგდებდნენ რუსეთსა და ევროპის სხვა სახელმწიფოებში. საფრანგეთისა და გერმანიის ოფიციალური და კერძო წრეები დარწმუნებულნი იყვნენ, იაპონია ვერ გაჰბედავს მძლავრ რუსეთთან გამკლავებასაო. ეხლა კი ყველამ ცხადად დაინახა, რომ იაპონიას თვალსაჩინო ძალა ჰქონია და კარგი ფლოტი ჰყოლია. ჯერ არავინ იცის, რით გათავდება ეხლანდელი ომი, მაგრამ ის კი ყველასათვის ცხადია, რომ ამას იქით იაპონიის სიტყვას მეტი ფასი დაედება და ყველა სახელმწიფო უფრო მეტის ყურადღებით მოეკიდება".

ინგლისური გაზ. ,,დეილი ქრონიკლ''-იც დიდის ქებით იხსენიებს იაპონიის სამხედრო მოქმედებას. გაზეთი სწერს: «იაპონელებმა სულ მცირე ზარალით დიდი საქმეები გაარიგეს, კორეიაში ყველა ნავთ-სადგური დაიჭირეს და გაამაგრეს. ეხლა იაპონიის ჯარი გამარჯვებითაა გამხნევებული. ეს ამბავი ბევრს რასმეს მოასწავებს. ყველა ეს იაპონელების წინდახედულობისა, კარგის მომზადებისა, ჩინებულ წესებისა, მცოდნე ხელმძღვანელებისა და გაბედულობის წყალობით მოხდა. ეხლა რუსეთმა გინდ ბალტიისა და შავის ზღვის ესკადრებიც გაგზავნოს შორეულ აღმოსავლეთს, იაპონიის ძლიერი ფლოტი მაინც ყველას პასუხს გასცემს. მართლაც შეიძლება იაპონია გამარჯვებული დარჩეს ზღვაზე, მაგრამ იმედი ნურავის აქვს მისი გამარჯვებისა ხმელეთზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ამბები და შენიშნვები.

რუსულ გაზ. „ნოვოსტი“-ს ახირებულ ამბავს ატყობინებენ ბერლინიდან: „ამბობენ, 47 სამსახურიდან გადამდგარი გერმანელი აფიცერი ამ დღეებში იაპონიას მიდის სამხედრო სამსახურში შესაავლელადაო“.

ჩინელების განზრახვა. ფრანგულ გაზ. „რაპელ“-ს შანჰაიდინ ატყობინებენ: იაპონიის აგენტები მანჯურიაში ხალხის აჯანყებას ცდილობენ. ჩინელების შემწეობით იაპონელებმა მანჯურიაში 20 ათასი თოფი და 5 მილიონი პატრონა შეიტანეს საიდუმლოდ. აჯანყების მეთაურად ჩინელ ბოქსიორთა წინამძღოლი პრინცი ტუანია. ამბობენ, პრინცი ტუანი თავის ჯარით რუსებს მდ. იალუზე დაეცემაო“.

* * *

1 თებერვალს იაპონიის ნაღმიანმა გემებმა რუსის კრეისერი „ბოიარინი“ დააზიანესო. „ბოიარინი“ მეორე რანგის კრეისერია, სიგრძე 359 ფუტი აქვს, სიგანე—41 ფუტი, 3,200 ტონს იწონის, საათში 33 მილს გადის, 17 ზარბაზანი აქვს და 2 ტყვიის სასროლი. ეს კრეისერი დანიაში კოპენჰაგენშია აშენებული 1902 წელს და იმავე წელს 27 ოქტომბერს შორეულ აღმოსავლეთს გაიგზავნა. „ბოიარინის“ უფროსად მე-2 რანგის კაპიტანი სარიჩევია. ამ კრეისერზე სულ 315 მეზღვაური ითვლაბა. („რ. ვ.“).

უნდა დაუმატოთ, რომ ეს ცნობა ოფიციალურად არაა შემოწმებული.

„ტაიმს“-ს სწერენ ტოკიოდან: იოკოგამაში იაპონელებმა გერმანიის გემი „ემა“ დაიჭირეს. „ემას» რუსებისათვის დინამიტი მიჰქონდა პორტ-არტურშიო.

„ლაფანის სააგენტო“ იუწყება, ვითომ იაპონელებს მოზამპოს ნავთ-სადგურში რუსის სამხედრო გემი „რაზბოინიკი“ დაეჭიროთ და სასებოში წაეყვანოთ.

ამერიკელმა ვაჭრებმა სან-ფრანცისკოდან პორტ არტურში რუსეთის ჯარს გემებით კონსერვები გაუგზავნეს. ვაჭრებს ამ დღეებში ცნობა მოსვლიათ, ეს კონსერვები ნაგასაკში იაპონელებმა დაიჭირესო. მალე ამერიკიდან გემ „შინა“-თი 1 მილიონი ფუთი დამარილებული ხორცი უნდა გაიგზავნოს პორტ-არტურს. შეშინებული ვაჭრები თურმე ამ ხორცს ჯერ შანხაიში გაგზავნიან და მერე იქიდან პორტ-არტურსაო.

«ტაიმს“-ს ატყობინებენ ტოკიოდან: იაპონელ მეგემეთა კერძო ამხანაგობა რუსის ჩაძირულ გემების „კორეც»-ისა და «ვარიაგ“-ის ამოღებას აპირებსო. რაც ამ საქმიდან მოგება დარჩება, ამხანაგობა სამხედრო ფლოტის ფონდსა სწირავს.

სეულიდან დეპეშა მოვიდა: კორეის იმპერატორის თანხმობით სეულში იაპონიის იმპერატორის ნათესავი მოვა და კორეის იმპერატორს სახელმწიფო საქმეების მართვას უშველისო.

კორეის ჯარის კაცები აქეთ-იქით მირბიან. კორეის გემები—სულ ხუთია—იაპონიამ ქვანახშირის საზიდად დაიქირავა.

გერმანელი კორესპონდენტები იუწყებიან ტოკიოდან: იაპონიის მთავრობა რუსის ჯარის მოქმედებასა და მოძრაობას მანჯურიაში თავის სამხედრო ჯაშუშების შემწეობით ბეჯითად ადევნებს თვალყურსაო. ტოკიოში რუსის ჯარის ყოველი ფეხის გადადგმა მშვენივრად იციან. ზოგიერთ, იაპონელს აფიცერსა და ჯარის-კაცს ნაბრძანები აქვთ, განგებ ვითომ ტყვედ ჩაუვარდით ხელში რუსებს და ჯაშუშობა გასწიეთო“.

„ჰერალდ“-ი ამტკიცებს, იაპონელებს ამ ჟამად ელიოტის კუნძულებზე გადაჰყავთ ჯარი და იქიდან დიდის იერიშის მიტანას აპირებენ კვანტუნის ნახევარ კუნძულზე, პორტ-არტურს ახლოო.

იაპონიის კონსულმა ჩემულპოში შეატყობინა ინგლისის კონსულს, 34 დაჭრილი რუსის მეზღვაური იაპონიის სამხედრო საავადმყოფოში დავაწვინეთ და საუკეთესო ექიმები მივუჩინეთო.

* * *

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელმა თავ. კ. დ. ერისთავმა რუსეთსა და იაპონიას შუა ომის დაწყების გამო 29 იანვარს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა შინაგან საქმეთა მინისტრს: «ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა, აღფრთოვანებული მოკრძალების გრძნობით მშვიდობის მოყვარეობის წინაშე თავის თვით-მპყრობელ წინამძღოლის, საყვარელ მეფისა, რომელმაც ყოველი ღონისძიება იხმარა, რომ თავიდან აეცილებინა სისხლის ღვრა თავის ქვეშევრდომთა, სთხოვს თქვენს მაღალ აღმატებულებას განართხოს ფერხთა წინაშე მისის უდიდებულესობისა, რომ თავად-აზნაურობა, მიმდევარი წინაპრებთა ანდერძისა, მზადაა დაღვაროს უკანასკნელი სისხლის წვეთი მეფის, სარწმუნოებისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ“.

*** 4 თებერვალს, მის იმპერატორებით უდიდებულესობამ დაათვალიერა აღმოსავლეთ ციმბირის მსროლელთა მის უდიდებულესობის 1-ლ პოლკის მე-3 ბატალიონი. ბატალიონი მოვიდა ტ საზამთრო სასახლის ეზოში ჰაუპტვახტისკენ დადგა. ჯარის ტანისამოსი და ქუდები ციმბირის ჯარის ფორმისა ჰქონდათ. სასახლიდან გამობრძანდნენ ხელმწიფე იმპერატორი ხელმწიფე დედოფალი, ხელმწიფე მემკვიდრე და უავგუსტოესი მთავარ-სარდალი. ხელმწიფე ჯარის მარჯვნივ მივიდა და ჯარს მიესალმა. შემდეგ, როცა ჯარის დათვალიერება გაათავა, ხელმწიფემ შემდეგი სიტყვა ბრძანა: „მიხარიან, ძმებო, რომ მე ომში წასვლამდე კიდევ ერთხელ ვნახავ და ვიგრძნობ შემიძლიან. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ პატიოსნურად დაიცავთ თქვენის ძველს სამხედრო დიდებას და ძეირფას სამშობლოსთვის თავს გასწირავთ. ვიცი, რომ თქვენი მტერი მამაცი, გამბედავი და მოხერხებულია. გულწრფელად გისურვებთ სრულს კეთილ-დღეობას და მტერზედ გამარჯვებას. მე მსურს, ძმებო, თქვენ და თქვენთან ერთად ჩემი სუფევრელი აღმოსავლეთ ციმბირის მსროლელთა პირველი პოლკი წმინდა სასწაულ-მოქმედის სერგეთმე სარეველის ხატით დავლოცოთ. იგი იყოს თქვენს მაგვარად მლოცველი და თქვენი მფარველი. ბატონო ავიტრებო, გულწრფელად გმადლობთ თქვენის ნებით ომში წასვლისთვის. კიდევ ერთხელ გმადლობთ, ძმებო, გაკურთხოთ ღმერთმა“. ბატალიონმა ცერემონიალურ მარშით გაიარა და ხელმწიფის „მადლობა“ დაიმახურა. უკან სამხედრო ურმები მისდევდნენ. ხელმწიფემ ერთხელ კიდევ მიმართა ჯარს და უთხრა: «მშვიდობით ძმებო».

*** ჩინეთის ელჩმა გადასცა იაპონიის მთავრობას შემდეგი ნოტა: „იაპონიამ და რუსეთმა შესწყვიტეს სამშვიდობო ურთიერთობა. რადგან ჩინეთი ორსავე სახელმწიფოსთან მეგობრულ განწყობილებაშია, ამიტომ მთავრობამ, რომელიც დიდ მნიშვნელობას აძლევს, შემდეგშიაც დაცულ იქნას კარგი მეზობლური ურთიერთობა, მიიღო საჭირო ზომები ნეიტრალიტეტის კანონთა დასაცველად ტ მოახდინა განკარგულება, რომ მოხელენი ყველა პროვინციაში ხელს უწყობდნენ მთავრობის განზრახვას. ადგილობრივ დაწესებულებებს ებრძანათ, უსათუოდ დაიცვან თავიანთ ოლქებში სრული წესრიგი ტ მფარველობა გაუწიონ ვაჭრებსა და ქრისტიან მცხოვრებს. რადგან მუკდენსა და სინ-ძინში იმპერატორების საფლავები და სასახლეებია, გენერალ-გუბერნატორს გაეგზავნა დაწვრილებით ინსტუქცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიცვას ეს შენობები და ქალაქები, სოფლები და მთავრობის შენობები აღმოსავლეთის სამს პროვინციაში, აგრეთვე კერძო კაცნი და მათი ქონება. ამ პროვინციებში მყოფი ჩინეთის ჯარი არ დაეცემა მეომარ სახელმწიფოთა ჯარებს და არც ამ ჯარებს უნდა მიეცეთ ნება დაეცნენ ყოფილ მეკიხოვნეთ, რომელნიც გადაყვანილ იქმნენ ლიაოს დასავლეთ მდებარე ოლქებში. მონგოლიასა და იმის საზღვრებშიაც უნდა დაცულ იქმნას ნეიტრალიტეტის კანონები, ამასთან მებრძოლი სახელმწიფონი არ უნდა დაეცნენ მონგოლიას. იმ შემთხვევაში, თუ საზღვარს გადავიდნენ, ჩინეთი ზომებს მიიღებს შესულ ჯარის გამოსაყვანად. მანჯურიაში არის ისეთი ადგილები, რომელიც უცხოელთა ჯარებს უპირავთ. ამ ადგილებში სანეიტრალიტეტო კანონების განხორციელება ჩინეთის ხელთ არ არის“.

იაპონიის მთავრობამ 4 თებერვალს შემდეგი საპასუხო ნოტა ჩაბარა ჩინეთის ელჩს: „იაპონიის საიმპერატორო მთავრობა აღფრთოვანებულია სურვილით არ დაარღვიოს მშვიდობიანობა, რომელიც ამ ჟამად ჩინეთში სუფევს; ამიტომ ეცდება დაიცვას ნეიტრალიტეტი ჩინეთის იმპერიის ყველა ადგილებში, გარდა მანჯურიისა, რომელიც რუსებს უპირავს, და იმ დრომდე, სანამ რუსეთიც დაიცავს ამ ნეიტრალიტეტს. იაპონიის სამხედრო წესები ნებას არ იძლევიან სხვისი საკუთრება წაახდინონ. ჩინეთის მთავრობა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ სასახლეები და აკლდამები მუკდენსა, ხსინჩსა და კინჩში დაცულ იქნებიან, თუ რუსებმა არ წაახდინეს. იაპონიის ჯარები დაიცავენ ჩინელთა საკუთრებას ტ პატივით მოეპყრობიან პიროვნებას, რამდენადაც ეს მოსახერხებელი იქნება ომის დროს. ხოლო თუ ჩინელებმა დახმარება აღმოუჩინეს იაპონიის მტერს, მაშინ იაპონიის მთავრობა ისე მოექცევა, როგორც გარემოებას შეეფერება. იაპონიამ ომი ქვეყნების დაპყრობისათვის კი არ დაიწყო, არამედ თავის კანონიერ უფლებათა დაცვისათვის, ამიტომ მთავრობას განზრახვა არა ჰქონია ჩინეთის ტერიტორია ჩამოაცალოს. მთავრობა ატყობინებს ჩინეთს, რომ ყოველი მისი მოქმედება ჩინეთის ტერიტორიაზე გამოწვეულია ომის საჭიროებით და არა იმ განზრახვით, რომ ჩინეთს რაიმე ზარალი მიაყენოს».

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საქმიანობასა და კეთილ-ფნეობაზე.

საუბარი დაბადებიდამ.

(რუსულიდან).

(შემდეგი*)

IV.

შექმნა კაცისა.

როცა ღმერთს კაცის გაჩენა უნებებია, ჯერ იგი თითქოს თავის თავსვე შეჰკითხვია, თავის თავთან ამ საგნის შესახებ საუბარი დაუწყია, რათა ეს საქმე გაცილებით უფრო დიდებულად შეესრულებია, ვინემ სხვა ქმნილებათა გაჩენა. „და თქვა ღმერთმან: ვქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩვენდა...; და შექმნა ღმერთმან კაცი ხატად (სახედ) თვისად...; შექმნა კაცი მტვერისა მიმღებელმან ქვეყნისაგან, და შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლისა, და იქმნა კაცი სულად ცხოველად“ (შექმნათა I, 26, 27; II, 7).

სჩანს, რომ მთელი თვისი შენადგენობით, ადამიანი ორ სამეფოს ეკუთვნის: ცხოველთა სამეფოს—როგორც მტვერისაგან გაჩენილი, და სულიერ სამეფოს—როგორც თვით ღვთისაგან „სიცოცხლის სულის“ მიმღებელი. აქედან ცხადია, რომ „ღვთის ხატად“ ადამიანის გაჩენა მის სულიერ ბუნებას ეკუთვნოდა. ადამიანის სული სახეა ღვთაებისა. ამ სულის ძალები და ნიჭნი გაცილებით მაღლა სდგანან ყოველსავე იმაზე, რაც ხილულ ბუნებაში არსებობს. მის აზრს ვერ ბორკავს ვერც სივრცე და ვერც დრო. მისი სამპყრობელო თვით უსაზღვროებაა. მისი ნებელობა ისეთს დაბრკოლებებს უმაგრდება და უმკლავდება, რომელნიც მის ცხოველურ ბუნებას მტვრად გადააქცევდენ. მის გონებრივ ძალთა ნაყოფი—მეცნიერება მას სამეფო ძალას და უფლებას ანიჭებს ბუნების ძალთა და კანონების შესახებ: ცეცხლი და წყალი მას ორთქლს აძლევს, რომელიც თითქმის სასწაულებს ახდენს კაცობრიობის სასარგებლოთ; ელვა და ქუხილი დღეს იქითკენ გარბის, საცა გზას უჩვენებენ; საშიშო ძალა, რომელსაც ელექტრონს ეძახიან, უკვე კაი ხანია კაცის მონა შეიქნა და სხ. და სხ.

ყოველსავე ამასთან ერთად, ადამიანის სული უკვდავია; როგორც ღვთისა, ისე მისი არსებობა საუკუნიდან მოდის და საუკუნეთაკენ მიიმართება,

მაგრამ, ძმანო, ეს მხოლოდ სუსტი აჩრდილია იმ „ღვთის ხატისა“, რომელიც თავდაპირველად იყო გამოსახული ადამიანის უკვდავ სულში. ადამიანს სულის ნიჭნი და ძალები მაშინ წმიდა და ნათელნი იყვენ, რის გამოც ადამიანი ისე ახლოს იდგა ღმერთთან, იმდენათ დაახლოებული ერთობა ჰქონდა მასთან, რომ თვისი ნივთიერი საშურველიც კი ხელს ვერ უშლიდა ქვეყნიერობის შემოქმედთან ებაასნა. სინათლისა და ნეტარების წყაროსთან ასეთს მჭიდრო ერთობას კაცის სულში შეჰქონდა სინათლე, მშვიდობა და ყოვლად სრული სიხარული, სიხარული დაუბოლოვებელი და აღუშფოთებელი. და ეს ერთობა როდი ავიწროებდა ადამიანის ნებელობას: ამა თუ იმ საგნის არჩევაში იგი სრულიად თავისუფალი იყო; ღმერთთან ერთობა მას მხოლოდ გზას უჩვენებდა სიკეთისკენ,—სახელდობრ შემოქმედისა და ყველა ქმნულთადმი სიყვარულისკენ.

რაც შეეხება ხილულ ბუნებასთან ადამიანის განწყობილებას,—აქაც ხომ არა ნაკლები სისრულით გამოისახა ადამიანში „ღვთის ხატება“,—სახე ნამდვილის სამეფო ძლიერებისა! „და თქვა ღმერთმან: ვქმნეთ კაცი ხატად და მგავსად ჩვენდა, და მთავრობდეს იგი თევზთა ზღვისათა, და მფრინველთა ცისათა, და პირუტყვთა, და მხეცთა, და ყოველისა ქვეყანისა და ყოველთა ქვეწარმავალთა ქვეყანასა ზედა“. „მთავრობდესო“,—სახელდობრ რით, რომელი ძალით უნდა მთავრობდეს?.. ცხადია—იმავე სულის ძალით; რადგან საღმრთო წერილში არსაიდან არა სჩანს, თითქოს პირველ კაცს რაღაც ბუმბერაზული სხეული და მისივე შესაფერი ფიზიკური ძალა ჰქონებოდეს. არა, ყოვლის შემოქმედს ამგვარი წეს-რიგი ჰქონდა დადგენილი: კაცის სული თავისუფლათ ემორჩილებოდა უმაღლეს სულს ანუ ღმერთს; და ამის სანაცვლოთ,

*) იხ. „მწყემსი“ № 1—2, 1904 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითონ მასაც თავისუფლათვე ემორჩილებოდა მთელი ხილული ბუნება. ადამიანი ეხლაც „მთავრობს“ პირუტყვებზე და ზოგჯერ გარეულ მხეცებზედაც; მაგრამ ეს „მთავრობა“—ბრძოლის ნაყოფია; აქ მორჩილება ძალდატანებითია და ამიტომაც არა იშვიათათ სასიკვდილო წინააღმდეგობას იწვევს ხოლმე. ადამიანი ეხლაც ხმარობს ბუნების ძალთა; მაგრამ ეს მძიმე და ხანგრძლივი მეცადინობის შედეგია: და კიდევ ბევრ სიცოცხლეს იმსხვერპლებს მეცნიერება, სანამ კაცობრიობას ამ ძალთა მფლობელობის გასაღებს გადასცემდეს. თავდაპირველად კი მფლობელობა ნამდვილ მეფური იყო უბრძოველი, უტანჯველი და სულის „მუსვრას“ მოკლებული: ადამიანი თვისი სულის ძალით მეტათ დიდს გავლენას ახდენდა ყველაფერზე, იმ სულის ძალით, რომელიც ჯერ კიდევ ძლიერათ ისახავდა თვისთავში ღვთის სულსა*).

„და იხილნა ღმერთმან ყოველნი, რაოდენნი ქმნა, და აჰა, კეთილ ფრიად“. კერძოთ, ყოველი თვითეული ქმნილებაც ღმერთმა „კეთილად“ სცნო. მაგრამ, როცა დაბოლოს ყველას ერთად გადახედა, დაინახა მათი საურთიერთო დამოკიდებულებანი და მწყობრი ერთობა,—მაშინ ეს საუცხოვო სურათი საუკუნო სიბრძნეს „ფრიად კეთილად“ ეჩვენა.

და მართლაც რომ „ფრიად კეთილი“ (ძლიერ კარგი) უნდა ყოფილიყო „დასაბამად“ ყველაფერი, რაც ღმერთმა გააჩინა, თუ კი ეხლაც, ათას-გვარ ცვლილებათა შემდეგ, რომელნიც ბუნებამ გამოიარა მას შემდეგ, საურთიერთო დამოკიდებულებათა და ზედმოქმედებათა კანონი ყველაფერზე უმაღლესი და უუსრულესია, რასაც კი კაცის გონება წარმოიდგენს. უკვე ნათქვამი გვაქვს, რომ ჰაერი, მაგალითად, მაშინ გამოდგება სიცოცხლის საღსრად, როცა ის, რაც მასში ცხოველთა სამეფოსთვის მავნებელია, მცენარეებში საკეთილოთ იცვლება და, რაც მცენარეთა სამეფოსთვისაა მავნებელი, ის კიდევ ცხოველებში იცვლება საკეთილოდ,—და რომ უმთავრესათ ამ პირობაზეა დამოკიდებული ორივე სამეფოს სიცოცხლე. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარეა სიცოცხლისა,—ნამდვილათ კი ვინ მოსთვლის რამდენი მხარეა კიდევ ამაზე უფრო მეტათ განსაცვიფრებელი და გასაშტერებელი?!.. ვუჩვენოთ ერთი ასეთი მხარეც. ბალახის-მჭამელ ცხოველთა ჯიში უთვალავია. სამეცნიერო ნაკვლევთა თანახმათ, მარტო მწერები, რომელნიც უმეტეს ნაწილათ მცენარეულობით იკვებებიან, დედამიწაზე 560,000-მდე გვარისანი არიან *). გესმისთ, ძმანო, გვარისანი: ფუტკრები, მაგალითად, ჭიანჭველები, კოლოები და სხვ. და სხვ.,—ესენი სულ სხვა-დასხვა გვარებად იწოდებიან. და აი, სწორეთ, ამისთანა გვარები ნახევარ მილიონამდე აღწევს!.. მაშ რამდენიღა უნდა იყოს კერძო არსებანი (ინდივიდები)?.. მოიპოვება თუ არა კაცის ენაში იმდენი რიცხვთა სახელები, რომ მათი შემწეობით თუნდ დაახლოებით მაინც შეიძლებოდეს იმ უთვალავ მწერთა აღრიცხვა, რომელნიც ჰაერში დაფრინავენ, დედამიწაზე დაცოცავენ, ან მცენარეებს ასხედან და სხვ. და სხვ.? რასაკვირველია—არა. აქ არამც თუ მილიონები, მილიონთა მილიონებიც კი ცოტაა. მაშ, სჩანს, რომ მცენარეთა სამეფოც აურაცხელი რიცხვით უნდა ავრავლდებოდეს, რათა ამ უთვალავ მწერებს და ცხოველებს საზრდო არ მოაკლდესთ... დიახ, იგი მართლაც იმ ზომათ მრავლდება, რამდენადაც ეს საჭიროა; ტიტველა ქვებსა და ფხვიერ სილებს გარდა, მცენარეები ყველგანაა და იმდენისავე აურაცხელი ჯიშისაა, რამდენისაც ცხოველთა სამეფო. ამასთანავე, ისეა მოწყობილი, რომ, სადაც მცენარეები უხვათ ვერ ხარობენ, იქ ცხოველთა

*) ამ სამეფო უფლებით ადამიანი ღვთის მცნების დარღვევამდის სარგებლობდა. მაგრამ იმის შესახებ კი, თუ სახელდობრ რამდენნაწილ სარგებლობდა ამ უფლებით—საღმრთო წერილში არამც თუ პირდაპირ, გაკვრითაც კი არაფერია ნათქვამი. ამისდა მიუხედავათ, ვინ იცის, რამდენმა მოცლილმა ხალხმა რამდენი დრო და ქაღალდი დახარჯა ამ საგნის შესახებ მსჯელობით!.. ერთ საეკლესიო წიგნში ვკითხულობთ: „სამოთხეში ვიდრე მეექვსე ჟამამდე (ე. ი. შუადღემდის) იცხოვრა (ადამმა): მერე კი, როცა მცნება დაარღვია, იქიდან განიდევნა“,—და იქვე ფილონის აზრია მოყვანილი იმის შესახებ, რომ პირველმა კაცმა სამოთხეში 100 წელი იცხოვრაო („Синаксарь“, въ недѣлю сыропустную). ერთი ვიკითხოთ, რა საჭიროა ეს ამაო მსჯელობა, როცა შეუძლებელია დასამტკიცებელი საბუთების მოყვანა? დროისა და შრომის უბრალოთ ხარჯვაა და მეტი არაფერი!.. დროს დაკარგვას კიდევ ვინ ჩივის, რომ აქედან ათასგვარი დავა კამათი, განხეთქილება და მწვალებლობა არა სჩნდებოდეს!.. ტყუილად კი არ უკრძალავს მოციქული პავლე ყოველგვარ ამაოთ-მეტყველებას და ზღაპრობას, რომელიც ცრუ კამათსა და დავას უფრო იწვევს, ვინემ „მოღვაწეობასა ღმრთისასა, რომელ არს სარწმუნოება“ (1 ტიმოთ. I. 4).

*) Шлейденъ. „Растенія и его жизнь“, стр. 72.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარებიც ძლიერ ნაკლებია, ხოლო სადაც მცენარენი უხვობენ, როგორც მაგალითად თბილ ქვეყნებში, იქ ცხოველთა გვარებს ასი-ათასობით დასთვლით. როგორც ჰხედავთ, ყველაფერი ისეთის სინამდვილითაა აწონ-გაზომილი და ერთი მეორესთან შეთანხმებული—როგორც თვის გამრავლებაში, ისე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში, რომ ცხოვრება თავისი გზით მიმდინარეობს,—და საზოგადო წეს-რიგს და წყობილებას კი არაფერი არ არღვევს: მცენარეებს ცხოველთა სამეფო არა სპობს საბოლოოოთ, და არც ცხოველთა სიცოცხლე ისპობა მცენარეთა შემცირებით. საოცარია კანონი თანასწორობისა და საურთიერთო ზედ-მოქმედებისა ყველა ქმნილებათა შორის!..

ამრიგათ, თუ ეს ყოველივე საუკუნო სიბრძნემ „ფრიად კეთილად“ სცნო,,—მაშ ჩვენ, ძმანო, რალა სახელი უნდა ვუწოდოთ ყოველსავე ამას, უკეთუ ბრმანი და უგნურნი არა ვართ ყველა ამ საოცრებისადმი, რომელნიც გარს გვარტყია, ან უკეთუ იმდენათ არ დამახინჯებულვართ, რომ ყველა ეს საოცრებანი მკვდარი ბუნების ძალებსა და მოქმედებას მივაწეროთ?.. რა უნდა ვუწოდოთ?.. დაუსრულებელი სიბრძნე და უსაზღვრო სიკეთე,—აი ყველა ამ საოცრებათა სრული სახელი. ზეციერი მამა „აღმოუცენებს თივას პირუტყვთა და მწვანეს —სამსახურებელად კაცთა, გამოღებად პური ქვეყანით; განსძღებიან ხენი ველისანი და ნაძენი ლიბანისანი, რომელ დაჰნერგა; მუნ მფრინველთა მართვე ისხენ და ბუდე ყარყატთა შერაცხილ მათთა; ხოლო იქ—ზღვა დიდი და ვრცელი: მას შინა არა არს რიცხვი მხეცთა წვრილთა დიდთა თანა,— და ყველა ეს სულიერი არსებანი—წყალში, ჰაერში და დედამიწაზე, ყოველნივე მისგან, ზეციერი მამისაგან, ელიან მოცემად საზრდელი მათი ჟამსა თვისსა. მისცემს მათ და აღიზარდნიან იგინი, ხოლო აღაღებს რა ხელსა თვისსა, ყოველნივე განძღებიან სიტკბოებითა“.—აკურთხოს, საუკუნოთ აკურთხოს სულმან ჩვენმან დაუსრულებელი სიბრძნე და გამოუთქმელი სიკეთე ყოვლისავე შემოქმედისა და განმგისა!..

საუბარი დაბადებიდამ.

(რუსულიდან).

V.

ქმნულთა განუზომელობა.

„შექმნათა“ თავი ბ.

„და სრულ იქმნეს ცა და ქვეყანა და ყოველი სამკაული მათი“.

დასრულდა ცისა და დედამიწის გაჩენა მათ-მათი «სამკაულითა», ე. ი. ყველა იმ რიცხვ-დაუდებელ ქვეყნებით, რომელნიც ცაში არიან გაბნეულნი, და იმ აურაცხველი უსულო და სულიერი საგნებით, რომელნიც ყველგან იმყოფებიან. ადამიანის გონებას არ შეუძლია ქმნილების სიდიადე და უსაზღვროება სავსებით წარმოიდგინოს... შევჩერდეთ ერთხელ კიდევ იმაზე, რასაც სალმრთო წერილი «ცას» უწოდებს.

რომ წინასწარმეტყველი ამ სიტყვაში რასმე უხილავს ე. ი. სულიერს მსოფლიოს კი არ გულისხმობს, არამედ მარტო ხილულ ქვეყნებს (ცის სხეულებს), რომელნიც ჩვენს ზემოთ ცის უსაზღვრო სივრცეში მიჰქრი-მოჰქრიან,—ეს იქიდან სჩანს, რომ იგი ცასა და ქვეყანას (დედა-მიწას) და რაც მათზე არსებობს—თვალსა-ზრისის ერთ წერტილზე აყენებს: ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ აქ საქმე ნივთიერ საგნებს შეეხება და არა უნივთო-სულიერს მსოფლიოს. ამას გარდა, სალმრთო წერილის სხვა ადგილებშიაც სიტყვასთან: «ცა, ცის სამკაული»—სწორეთ ამავე ქვეყნებზე, ანუ ცის მნათობებზე წარმოდგენაა შეერთებული. მაგალითად, სიკვდილის წინ მოსე წინასწარმეტყველმა ებრაელებს შემდეგი ანდერძი დაუტოვა: «ნუ აღიხილავთ ზეცად, რომელთა რაჟამს იხილოთ მზე, გინა მთოვარე და ვარსკლავნი, ანუ თუ ყოველი სამკაული ცისა, ჰ შესცდეთ თაყვანისცემად მათდა, ანუ მსახურებდეთ მათ, რომელ იგი განგაშორა თქვენგან უფალმან ღმერთმან თქვენმან და მისცა წარმართთა, რომელნი არიან ცისა ქვეშე“ (მეორე სჯ. IV, 19).

და, აი, ამ განუზომელ სივრცეში, სადაც ყველა ეს ქვეყნები მიქრი-მოქრიან, და თვით ამ ქვეყნების აურაცხველობაში ადამიანის აზრი უნებურათ იბნევა და იკარგება. ის სივრცე, რომელიც, მაგალითათ, ჩვენი მზის სისტემას უკავია, მილიონჯერ მილიონ ვერსს შეიცავს; ამავე დროს ეს ჩვენი სისტემა დანარჩენ მსოფლიოსთან შედარებით იგივეა, რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სილის ნამცეცი—დედამიწის ბურთთან შედარებით. მაშ რომელ გონებას შეუძლია ამ სივრცეთა წარმოდგენა? ხოლო ვარსკლავთა ქვეყნებზე რაღა უნდა ითქვას?.. იმ ვარსკლავთა რიცხვი, რომელთაც შეუიარაღებელი თვალი სწვდება, ექვსი ათასზე მეტია; რომელთაც მხოლოდ ხელოვნური შუშებით (ტელესკოპით) ხედავენ, იმათ რაოდენობას ას მილიონზე მეტს ამბობენ; ხოლო ამ მილიონებს უკან კიდევ ქვეყნების მთელი ჯარავანია დამალული, ამათ კიდევ სხვა მნათობები მოსდევს და სხვა.—ქვეყნიერობის ამ უსაზღვროების წარმოდგენაზე კაცი უნებლიეთ თრთის და თავის თავს ეკითხება: „არის სადმე თუ არა ამისი დასასრული?“—არაო,—უპასუხებს მეცნიერება; ყველა რიცხვები და ციფრებიც რომ მოიშველიო,—მაინც ვერაფერს გახდები, რადგან ეს იქნება მხოლოდ ზღვაში გადასროლილი სილის ერთი ნამცეცი და მეტი არაფერიო.*) ამ რიგათ, მსოფლიო არის გონებით განუზომელი ვარსკლავთა სისტემების კრებული, რომლების შექმფენი-მზეები, ბრწყინვალე მნათობნი და ლამპარა კუდიანი ვარსკლავები (კომეტები)—განუწყვეტლივ ერთი მეორეს გვერდს უვლიან, ერთი მეორეს გზას უთმობენ და ერთი მეორეს უკან დგებიან, ერთი სიტყვით შემოქმედის ყოვლის შემძლებელი ძალით გატაცებულნი ერთი წუთითაც არ სწყვეტენ ცის გზებზე მოძრაობას. იქ სიცოცხლე არსებობს და არა სიკვდილი, რადგანაც სიცოცხლის საუკუნო და დაუშრეტელი წყაროსაგან მხოლოდ სიცოცხლეს შეუძლია გამომდინარება; იქ წეს-რიგი არის და არა არეულდარეულობა და უწესრიგობა.

დიახ, ძმანო, როგორც დედამიწაზე ისე ცაშიაც ყველაფერი ისეა შეზომილი და შეთანხმებული, რომ მთელმა მსოფლიომ ისე როგორც თითეულმა ქვეყანამ ცალკე—ყველამ თავისი ადგილი იცის და ყველაფერი ერთხელვე გადაწყვეტილი გზით მიმდინარეობს და ამ გზას ერთი ფეხილის ოდენათაც არ გადაცილდება; წინაადმდეგ შემთხვევაში, თუნდა ერთი მნათობიც რომ თავის გზას აშორდეს, ყველაფერი პირველყოფილ ხაოსაგდე გარდიქცევა. ავიღოთ კუდიანი ვარსკლავები, რომელთ შესახებაც ათასნაირი ჰორი და ცრუმორწმუნეობაა გავრცელებული ჩვენს ხალხში. ზოგს ჰგონია—კუდიანი ვარსკლავი უსათუოთ დედა-მიწას დაეჯახება და ცეცხლს გაიჩენსო; სხვები ფიქრობენ თავის კუდით დედამიწის ზურგზე ყველაფერს მოცოცხავს და სადღაც ცის სივრცეში გადაისვრისო და სხვ. მაგრამ მართლა ასეა თუ არა? სრულიათაც არა,—კუდიანი ვარსკლავი ჩნდება ცაზე, გასცდება დედამიწის სავალ წრეს და დაიმალება ცის სივრცეში. გაივლის დრო,—და ეს ვარსკლავი ისევ იმავე დროს და იმავ ალაგას თავს გამოჰყოფს, სწორა იმდენსავე ხანს დარჩება ჩვენს ცაზე და ისევ იმდენივე ხნით მიეფარება. კუდიან ვარსკლავთა გზა გრძელია: ზოგი მათგანი თვისი სავალი წრის შემოვლას სამი ათას წელს უნდება, ზოგიც—ოთხმოციათას წელზე მეტს; მაგრამ ამ გრძელ გზას ისე გაივლიან, რომ ეროი ბეწვის ოდენათაც არ გადაცილდებიან დანიშნულ ხაზს; იმიტომ რომ იგინი თავისთავად კი არ დახეტიალობენ ცის სივრცეში, არამედ ყველა მათი «რიცხვი-სამებრ გამომყვანებელი»—ყოვლის შემძლე და ყოვლის მპყრობელი ღმერთია (ესაიასი XL, 25); ყველანი ქვეყნის ტრიალის ერთ განსაზღვრულ კანონს ემორჩილებიან. ამას შემდეგ თქვენ თვითონ განსაჯეთ, შეუძლია თუ არა რომელსამე კუდიან ვარსკლავს რაიმე უბედურების მომასწავებელი იქნეს? იგინი რომ უეცრათ და მოულოდნელათ ჩნდებოდენ, მაშინ კიდევ შესაძლო იქნებოდა მათი გამოჩენისათვის რამე განსაკუთრებული მნიშვნელობა მიგვეწერა. მაგრამ როცა იგინი იმავე მოძრაობის საზოგადო წესს ემორჩილებიან და ასრულებენ, რომელსაც ჩვენი დედა-მიწა და ყველა ცის მნათობები ექვემდებარებიან,—მაშინ, რა თქმა უნდა, მათ

*) რა არის მსოფლიო, რომელიც, თუნდ ყველა ციფრების წყობანიც დავხარჯოთ, მაინც განუზომელი დარჩება და ყველა ჩვენს დაახლოებითს გამოანგარიშებას ისე ჰყლაპავს, როგორც ოკეანე მასში გადაგდებულს სილის ნამცეცს?“ Фламаріонъ, „О множествѣ міровъ“.—შესანიშნავი ვარსკლავთ-მრიცხველის გერშელის გამოანგარიშებით „ირმის ნახტომში“ („млечный путь“), რომელიც ჩვენ ცის სივრცეში თეთრ ზოლად გვეჩვენება, თვრამეტი მილიონი „მზეა და თვითეულ მათგანს იგეთივე მნათობების სისტემა აქვს, როგორიც ჩვენ მზეს. არ უნდა გვეგონოს, ვითომც თითოეული სისტემა სხვებისგან დამოუკიდებლათ არსებობდეს; არა,—ჩვენი მზე მთელი თავისი სისტემით სხვა მზეს უტრიალებს გარშემო, რომელიც მასზე უფრო მეტია, ეს—კიდევ სხვას და ასე დაუსრულებელათ. ყველაფერი ქვეყნიერობის ერთ ჯაჭვშია ჩაქსოვილი; ყველაფერი ერთ განუყოფელ მრთელს წარმოადგენს. ვარსკლავთ-მრიცხველები ტყუილათ არ წარმოსთქვანდენ ხოლმე სიტყვას—„ღმერთს“—ძრწოლითა და მოწიწებით: მეცნიერება—უმაღლესი გამოცხადებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩენას რომ რაიმე მნიშვნელობა მიაწერო—ეს ხომ ცხადი სისულელე იქნება. უადგილო არ იქნება შევნიშნოთ, რომ ჩვენი მზის სისტემის წრეში მოტრიალე კუდიან ვარსკვლავთა რიცხვი ძლიერ დიდია და მათი სიდიდეც სხვა და სხვა ნაირია; ამიტომაა, რომ ზოგი მათგანი კარგათ მოჩანს, ზოგი კი ხელოვნური შუშითაც ძნელი გასარჩევია. მაგრამ მათში საზოგადო ისაა, რომ იგინი ჩვენს მიწასავით და სხვა პლანეტებივით მაგარი სხეულები კი არ არიან, არამედ მეტად თხელი ორთქლის უზარმაზარ კრებულს წარმოადგენენ. მაშასადამე, ვთქვათ, რომ კიდევაც შესაძლო ყოფილიყო მიწასთან მათი დაჯახება, როგორც ცრუ მორწმუნენი ჰფიქრობენ,—ამით დედამიწას არაფერიც არ დაუშავდებოდა: ის მხოლოდ რამოდენიმე ხნით ნისლით დაიფარებოდა,—და მეტი არაფერი.

ახლა გესმისთ თუ არა, ძმანო, ფსალმუნთა მგალობელის სიტყვების აზრი: «ცანი უთხრობენ დიდებასა ღვთისასა, და ქმნულსა ხელთა მისთასა მიუთხრობს სამყარო» (ფს. 18, 1)? —ჭეშმარიტათ ღვთის დიდებას მოუთხრობს ქიეყნიერობათა ეს აურაცხველი სიმრავლე, რომლის წარმოდგენა არამც თუ ერთი ადამიანის გონებას, არამედ მთელი აწმყო, ნამყო და მყოფადი კაცობრიობის შეერთებულ გონებრივს ძალთაც კი არ შეუძლია. რასაკვირველია, ამასვე მოუთხრობს ქვეყანაზედაც ყველფერი: მინდორში—ბალახი და ჰაერში ფრინველი... მაგრამ რომ დედამიწის ქადაგება ჯეროვანთ იქმნეს გაგებული,—საამისოთ ბევრი ცოდნა და ბევრი ფიქრია საჭირო. ცის ქადაგება კი ყველასათვის ადვილათ გასაგებია, ვინც კი ყრუ და ბრმა არ არის. „დღე დღესა აუწყებს სიტყვასა, ღ ღამე ღამესა მიუთხრობს მეცნიერებასა; არა არიან თქმულ, არცა სიტყვა, რომელთა იგი არა ესმა ხმა მათი. ყოველსა ქვეყანასა განხდა ხმა მათი, და კიდეთა სოფლისათა—სიტყვანი მათნი“ (იქვე მუხ. 2—4). და ეს ქადაგება იმდენათ ძლიერათ მოქმედობს, რომ იყვენ ხალხები, რომელნიც თვით ამ მნათობებს ღმერთსავით თაყვანსა სცემდენ და ღმერთად მიაჩნდათ იგინი. ჩვენ, რასაკვირველია ამას არა ვიქმთ; მაგრამ თვით ციურ ქადაგებისადმი ყურების დახშობა და თვალების დაბრმავება კი ხომ ხშირია ჩვენ-შორის, ძმანო?..

ს. გორგაძე.

(შემდეგი იქნება)

ცხოვრება

წმიდათაშორის მამისა ჩვენისა

ნიკოლოზ საკვირველთ მოძღვრისა.

(გაგრძელება*)

ერთხელ ალექსანდრიის ეპისკოპოსთან ბაასობის დროს არიოსი მოჰყვა თავის ცრუ სწავლას იესო ქრისტეს შესახებ. ეპისკოპოსი ალექსანდრე (ეს იყო მისი სახელი) უმტკიცებდა მას სიცრუეს მისი აზრებისას. ხშირათ იბარებდა არიოსს თავისთან, ჰკიცხავდა ამნაირ მის სწავლას და ურჩევდა მას უკუეგდო ეს ცრუ და მასთან მავნებელი აზრები. მაგრამ არიოსი თავისას არ იშლიდა, ალექსანდრეს ყურსაც არ ათხოვებდა და ასე გასინჯეთ, მწვალებელსაც-კი ეძახოდა მას, ხოლო თავის ცრუ სწავლას ქრისტიანებში გულმოდგინეთ ავრცელებდა და ბევრი მომხრე და მიმდევარიც მოიპოვა მათ შორის. ამნაირად შეიქმნა ბრძოლა და კამათი მორწმუნეთა შორის. არა მარტო სასულიერო პირები იღებდენ ამ ბრძოლაში მონაწილეობას,—ერიც კი გაიყო დასებათ: ყველგან ისმოდა ცხარე კამათი ქრისტეს ღვთაებაზე და მის საუკუნოებაზე. მრავალი ეპისკოპოსი მოიხიბლა არიოსის მოძღვრებით. იგინი იფარავდენ არიოსს და გამოცხადებულათ მიიღეს მისი მხარე. ბოროტება საათობით ძლიერდებოდა და მწვალებლობა უფრო-და-უფრო ვრცელდებოდა. დიდათ ეწყინა კონსტანტინეს, ეკკლესიის ამგვარი უთანხმოება, რომ გაიგო. მან გაუგზავნა ალექსანდრეს და არიოსს ბარათი, რომელშიაც სასტიკათ ჰკიცხავდა მათ ქრისტიანების ასე უზომოთ აღელვებისა და აშფოთებისათვის; წერილის ბოლოში ის ურჩევდა და სთხოვდა მათ მშვიდობით, მეგობრულად, ერთმანეთის შეთანხმებით დაებოლოებიათ ეს კამათი. მაგრამ ეკკლესიის დამშვიდება მხოლოდ ერთ საქმეს შეეძლო: ეპისკოპოსებს ერთად და ყველასათვის გასაგებათ უნდა გამოეხატათ სწავლა და მცნება, რომელიც დაგვიტოვა ქრისტე მაცხოვარმა და მისმა მოციქულებმა და მერე დაედგინთ: ამ სწავლის თანახმად, ასწავლიდა არიოსი, თუ არა, რომელმაც გამოიწვია ამდენი უთანხმოება და ღელვა? მიღებული იყო ეს საშუალება და კონსტანტინემ მოიწვია ყოველი კუთხიდგან ეპისკოპოსები ქალაქ ნიკეიაში

*) იხ. „მწყემსი“ № 1—2, 1904 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო კრებაზე (ეს იყო პირველი მსოფლიო კრება) ამისთანა დიდი კითხვის გადასაწყვეტად.

მღვდელმთავრები ყველა კუთხიდგან გაეშურენ ნიკეიაში. მოვიდა აგრეთვე წმიდა ნიკოლოზ საკვირველთმოქმედიც. იმპერატორმა კონსტანტინემ ყველა ეპისკოპოსებს მიასწრო იქ მისვლა. კრება გაიხსნა მეფის სასახლის ერთ ყველაზე მეტ დარბაზში. ამბობენ, ამ კრებაზე დაესწრო სულ ორი ათასზე მეტი კაცი; მღვდელმთავრები კი 318 იყვნენ. კედლების ჩაყოლება იდგენ სკამები ეპისკოპოსების დასაჯდომათ. დარბაზის შუა იდგა სტოლი, რომელზედაც, როგორც ნამდვილი მოწამე ქეშმარიტებისა, ეწყო საღმრთო წერილი, რომლის თანახმაც უნდა ყოფილიყო კრების გადაწყვეტილება. როდესაც ეპისკოპოსები შეიკრიბენ, ოთახში შემოვიდა თვითონ იმპერატორიც და მიჰმართა მათ სიტყვით, რომელშიაც გამოსთქვა ის აზრი, რომ ის მეტად გახარებულია ამდენი ეპისკოპოსის ერთად დანახვით და სთხოვდა მათ ძმურად, ერთმანერთის შეთანხმებით გეთავებიათ საკამათო კითხვები. ამის შემდეგ ეპისკოპოსები შეუდგენ იესო ქრისტეს ღვთაების შესახებ არიოსის აზრების და მოძღვრების განხილვას.

არიოსი თამამათ იცავდა თავის აზრს კრების წინაშე; მისი მხარე გამოცხადებულად ეჭირა რამდენიმე ეპისკოპოსს. შეიქმნა ფიცხელი კამათი. მიუხედავად იმისა, რომ იმპერატორს სურდა მეკამათენი შეთანხმებულიყვენ, ისე შორს წასულიყვენ არიოსი და მისი მომხრეები ქეშმარიტებისაგან და ისე გულმოდგინეთ იცავდენ ისინი თავიანთ აზრს, რომ ფიქრიც კი შეუძლებელი შეიქმნა ამ შეთანხმებაზე. ამბობენ, წმიდა ნიკოლოზმა, როცა ის არიოსს ეკამათებოდა, ველარ მოითმინა მისი ღვთის საგმობი სიტყვები, მიმართული იესო ქრისტესადმი და საშინლათ აღელვებულმა, განაძევა იგი კრებიდგანაო. ბოლოს შემდეგ ხანგრძლივი კამათისა ტ სჯა-ბაასისა, მართლმადიდებლებმა გადასწყვიტეს წერილობით გამოეხატათ შინაარსი ქრისტიანობის სწავლისა წმიდა სამებაზე. აი ამ დროს იყო შედგენილი სიმბოლო სარწმუნოებისა, რომელიც ჩვენ, ვფიქრობ, ყველამ ვიცით და რომელიც ასე იწყება: „მრწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი“.... არიოსის ცრუ მოძღვრება კრებამ დაგმო, ხოლო თვითონ მას და მის მომხრეებს მიუსაჯა ეკკლესიიდგან განდევნა.

წმიდა ნიკოლოზი დაბრუნდა ნიკეიიდგან და თან მიუტანა თავის სამწყსოს მშვიდობა და კურთხევა. განამტკიცა ქრისტიანები ქეშმარიტ სწავლაში და სასტიკათ სდევნიდა ყოველ ცრუ მოძღვრებას, რომელსაც კი შეეძლო შეეშფოთებია მართლმორწმუნენი. როგორც წინეთ, ახლაც ქრისტიანები საჭიროების დროს მიაშურებდენ მას შემწეობისათვის და ისიც ნიადაგ იფარავდა მათ მჩაგვრელთა და შემწუხებელთაგან.

ერთხელ იმპერატორმა კონსტანტინემ ზღვით გაგზავნა ფრიგიაში სამი მხედართმთავარი და გაატანა მათ ჯარი, რომ დაემშვიდებიათ მეამბოხენი. მოგზაურობის დროს ზღვა საშინლათ აღელვდა. გზის გაგრძელება შეუძლებელი იყო და მოგზაურები იძულებილი შეიქმნენ გემიდგან გადმომსხდარიყვენ ზღვის ნაპირას, ქალაქ მირონის ახლოს. აქ ჯარისკაცებმა დაუწყეს შეურაცყოფა და ცარცვა-გლეჯა მცხოვრებლებს, რამაც სასტიკი ბრძოლა გამოიწვია მათ შორის. ეს რომ გაიგო წმიდა ნიკოლოზმა, საჩქაროდ გაეშურა ბრძოლის ადგილზე; დაუწყო მებრძოლთ რიგება, დამშვიდება და მალე დააწყნარა ოვინი. მაგრამ ძლივს მოასწრო ამათი დამშვიდება, რომ ქალაქიგან მოვიდა რამოდენიმე კაცი. ესენი თვალცრემლიანი სთხოვდენ წმიდა ნიკოლოზს საჩქაროდ დაბრუნებულიყო ქალაქში, სადაც სამს, სრულიად უდანაშაური კაცს, ქალაქის უფროსმა სიკვდილით დასჯა მიუსაჯაო. „მთელი ქალაქი, ეუბნემოდენ იგინი წმიდა ნიკოლოზს, სტირის ამ საცოდავებს ტ მოუთმენლად ელის შენს დაბრუნებას, მეუფეო! უკეთუ შენ იქ ყოფილიყავ, ქალაქის უფროსი ვერ გაბედავდა ამ კაცებისათვის მიესაჯა ამგვარი უსამართლო სასჯელი“. გაიგონა თუ არა ეს სამწუხარო ამბავი, წმიდანი მაშინვე გაეშურა ქალაქ მირონში და თან წაიყვანა მეფისაგან გამოგზავნილი სამი მხედართმთავარიც. როდესაც წმიდა ნიკოლოსი ქალაქში მივიდა, სასჯელის ადგილზე უკვე გამოყვანილი იყვენ დასასჯელები. ერთი იმთგანი მუხლებზე იყო დაჩოქილი და თავი ძირს დაეხარა. ჯალათმა ხმალი აიღო, ის იყო კიდევაც დაუქნია, მაგრამ ამ დროს უეცრათ გარს-შემორტყმული ხალხი შუაზე გაიპო, გამოჩდა წმიდა ნიკოლოზი, რომელმაც ჯალათისაგან მოქნეულ ხმალს ხელი შეაშველა და გამოგლიჯა იგი მას. ვერავინ ვერ შეიძლო წინააღმდეგობა გაეწია წმიდა ნიკოლოზისათვის, რაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან მის სიტყვებსა და მოძრაობაში სჩანდა ძალა ღვთაებრივი. თვითონ ქალაქის უფროსიც კი მივიდა და დაიწყო მის წინაშე თავის მართლება; მაგრამ წმიდა ნიკოლოზმა მას ზურგი შეაქცია და ემუქრებოდა უსამართლოებისათვის ღვთისაგან სასჯელს დ მხოლოთ მაშინ აპატივა მას ჩადენილი უსამართლობა, როდესაც მან გულწრფელად აღიარა თავისი დანაშაური.

რამოდენიმე ხნის შემდეგ მხედართმთავრები, რომლებიც მეამბოხეთა დამშვიდების შემდეგ ფრიგიიდგან სამშობლოში დაბრუნდენ, მტრებმა მეფესთან დააბეზღეს როგორც ვითომ მისი მოღალატენი. მეფემ ბრძანა ჩაეყარათ იგინი საპყრობილეში. მაგრამ მაბეზღებლები ამას არ დაჯერდენ, ვინაიდგან ეშინოდათ არ გამომჟღავნებულიყო მათი ცრუ ბეზღობა, არწმუნებდენ მეფეს, რომ მხედართმთავრები საპყრობილეშიაც-კი, არ სტოვებენ თავის ბოროტ განზრახვას და განაგრძობენ შენ საწინააღმდეგოთ კავშირს და მოლაპარაკებას სხვა შეთქმულებთანაო. მეფემ მიუსაჯა ამ სრულიად უდანაშაურო ადამიანთ სიკვდილით დასჯა. საბრალოებმა მეფის ამნაირი გადაწყვეტილება გაიგეს სატუსაღოს მცველისაგან. თუმცა არაფერში დამნაშავენი იგინი არ იყვნენ, მაგრამ დამტკიცება კი ამისი მეფის წინაშე მათ არ შეეძლოთ და მაშასადამე, უნდა დაღუპულიყვენ, როგორც საზოგადოდ საშინელი ბოროტების მქონელნი. ამ დროს ერთ მათგანს მოაგონდა ის უდანაშაურო კაცები, რომლებიც წმიდა ნიკოლოზმა იმათ თვალისწინ იხსნა სიკვდილისაგან. სასოებდენ რა მხოლოდ ღმერთზე, იგინი ლოცვილობდენ: „ღმერთო, ეპისკოპოსის ნიკოლოზისაო! შენ, რომელმან იხსენ სამი კაცი სიკვდილით დასჯისაგან, მოგვხედენ ჩვენცა, ვინაიდამ სხვა შემწე კაცთა შორის არ მოგვეპოება, გვიხსენ ჩვენ ამ უბედურებისაგან. ისწრაფე, უფალო, ჩვენდა საშველად და გამოგვიხსენ ჩვენ, უდანაშაურონი, ამ უსამართლო სასჯელისაგან“. უფალმა ისმინა ვედრება მათი და გამოიხსნა იგინი ტანჯვისა და სასჯელისაგან. სწორეთ ამავე ღამეს წმიდა ნიკოლოზი გამოეცხადა ძილში მეფეს და უთხრა: «გაანთავისუფლე სამი მხედართმთავარი საპყრობილედგან, მათ ცილი დასწამეს და იტანჯებიან უდანაშაუროდ. თუ არ გაიგონე ჩემი სიტყვა და არ გაანთავისუფლე იგინი— იცოდე დაიღუპები». გაკვირვებულმა ამ ფიცხელი ბრძანებით მეფემ, ჰკითხა თუ ვინ არის ის, და ან როგორ უბედავს მას, მეფეს, იმნაირ მუქარას? მან მიუგო: «მე ვარ ნიკოლოზი, მთავარ-ეპისკოპოსი ქალაქ მირონისა“. გათენდა; მეფემ ბრძანა მოეყვანათ ტუსაღები და ჰკითხა მათ: „რა ჯადოთი მო მივლინეთ მე ასეთი საშიში სიზმარი, ან და ვინ არის ეს მრისხანე მოხუცი, რომელიც მექადის მე დაღუპვას?“ იგინი გაკვირვებული უსმენდენ მეფეს ამ სიტყვებს და არ იცოდენ რა ეპასუხნათ მისთვის. ბოლოს ერთმა იმათაგანმა მოახსენა მეფეს: „ხელმწიფეო! თვითონ ღმერთი მოწმობს ჩვენს უბრალოებას. მთელ ჩვენს ცხოვრებაში გემსახურებოდით როგორც ერთგული ქვეშევრდომნი, და ეხლა, არ ვიცით, რით გაგარისხეთ შენ და რისთვის გვსჯი ასე სასტიკად.“ ამასთანავე ისინი ხმამაღლა სთხოვდენ წმიდა ნიკოლოზს მფარველობას. „ვინ არის ეს ნიკოლოზი, რომელსაც თქვენ მოუწოდეთ“? ჰკითხა მეფემ. იმათ მიუგეს, თუ წმიდა ნიკოლოზმა როგორ იხსნა სასჯელისაგან სამი მცხოვრები ქალაქ მირონისა? მეფემ მაშინვე გაანთავისუფლა მხედართ მთავარნი, და უბოძა მათ წინანდელი მათი თანამდებობა და უთხრა: „არა მე გიბრუნებთ თქვენ სიცოცხლეს, არამედ ნიკოლოზი, დიდი მსახური უფლისა; წარვედით მასთან, მადლობა შესწირეთ მას და უთხარით, რომ მე სისრულით აღვასრულე ნება მისი“. ამასთანავე მეფემ გადასცა მათ ქალაქ მირონ-ლუკიის ეკკლესიისათვის საჩუქრები: სახარება, მოჭედილი ოქროთი, ოქროს საცეცხლური და ორი ოქროსავე სასანთლე. მხედართმთავარნი მოვიდენ ქალაქ მირონში; თვალცრემლიანი მადლობდენ მღვდელმთავარს, რომელმაც დაუბრუნა მათ სიცოცხლე, პატივი და თავისუფლება; მიართვეს მას მეფისაგან გამოგზავნილი საჩუქრები; დაურიგეს ღარიბ-ღატაკთ და დავრდომილთ დიდძალი მოწყალება დ მერე. მშვიდობით დაბრუნდენ სამშობლოში.

მღ. ბ. კაპანაძე.

(შემდეგი იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою Архимандритъ Георгій февраля 17 *1904 г.*

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.